დღეს ფაშიზმზე გამარჯვების დღეა!

დღემდე ყველაზე დიდი მსოფლიო ომი კაცობრიობამ ქართველი მხედართმთავრის მეთაურობით მოიგო. ამ ომის ფრონტებზე საქართველოს 300 000 მებრძოლი გმირულად დაეცა. სტალინმა აიძულა დამარცხებული ჰიტლერი, რომ თვითმკვლელობით დაესრულებინა სიცოცხლე და ფაშისტურ გერმანიას უსიტყვო კაპიტულაციაზე მოეწერა ხელი!

საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოლ-ეული სიცოცხლეა, ტყუილებით და ჯობებით ბუნ-თის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

სამშაბათი, 9 მაისი. 2017 წ. №94 (8231), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

იმ დღეებს ძეგლი უნდა ავუგოთ!

იხ. 6 გვ.

აკადემიკოს ილია ვეკუას მიმართვა ახალგაზრდებს...



3

ნუგზარ ფოფხაძე:

მთამომავლობამ უნდა იცოდეს



რეზო ლაღიძის ბოლო სიმღერა

4

თეიმურაზ ლანჩავა 70

პოეზიისა და მზის ქალაქის მარადიული ჭირისუფალი

5

იბეჭდება პირველად

მერაბ ბერძენიშვილი:

და ვაი, მკადრეს უკადრებელი!



გუშინ, რედაქციაში დარეკა მსოფლიო მნიშვნელობის ქართველი მოქანდაკის **მერაბ ბერძენიშვილის** ქვრივმა, უმშვენიერესმა ქალბატონმა **კირა მიქელაძემ** და გვამცნო, რომ მერაბის არქივის მოწესრიგებისას შემთხვევით წააწყდა მერაბის მიერ დაწერილ ლექსს იმ საშინელებისა გამო, რომელიც ავადსახსენებელი სააკაშვილის ბრძანებით ქუთაისში ბარბაროსულად დაანგრიეს ქართველი ხელოვნის ერთ-ერთი უძვირფასესი ნამუშევარი – **„გმირთა დიდების მემორიალი“**. მერაბი საერთოდ ლექსებს არ წერდა, მაგრამ, როგორც ჩანს, დიდი ხელოვნის საშინლად შეურაცხყოფილმა გულმა ამ შემთხვევაში პოეზიით გამოხატა თავისი მძიმე სათქმელი.

დღეს სიკეთის დიდი გამარჯვების დღეა, ანუ ბოროტების დამარცხების დღე.

იმედია, დღეს თუ არა, ხვალ მაინც კვლავ აღდგება დიდი ხელოვნის მიერ ჩვენი ხალხის გმირობის სადიდებლად შექმნილი ხელოვნების უკვდავი ნიმუში, ხოლო ეს გულიდან რისხვად ამოხეთქილი პოეტური სტრიქონები მარად დარჩება როგორც მავნე, ანტიქართველ ნაციონალთა ბოროტებისთვის გამოტანილი უმკაცრესი განაჩენი.

ვით კორიდაზე მებრძოლი ხარი,
ისე დაეცა მემორიალი...
კაცი მზაკვარი, ამფეთქებელი,
ბოროტი კვალით ისევ აქ არი.

მე გავაშენე გმირთა სავანე,
ვინც სამშობლოსთვის სისხლი გაიღო,
ვინც სიყვარულის ძეგლი აიგო,
მაგრამ ლაჩარმა ნგრევით აიღო...

„ვეფხით და მოყმით“ გამოზრდილი ვარ,
მაგრამ ვაი, რა ფუჭად გავრჯილვარ.
დედას მოფხრიწეს წმინდა მანდილი,
ასე მხეცურად არცროს დავსჯილვარ!

მაჯლაჯუნები გამეფდნენ ქვეყნად
და დააჩოქეს გმირი ქართველი,
ლეშიჭამია შავმა ყორნებმა
არწივს წარსტაცეს მარტყნი-მართვენი.

ვაი რომ, თმენით შევცქერი ეშმაკთ,
ქვაშიაც ცეცხლის ვიყავ მგზნებელი,
ნახეს, მოვხუცდი, დავსუსტდი უკვე,
და ვაი, მკადრეს უკადრებელი!

ბერძენა (მერაბ ბერძენიშვილი)
2009 წლის 19 დეკემბერი



გიორგი კვირიკაშვილი: ამერიკიდან მყარი გარანტიები მივიღეთ

მივიღეთ მართლაც ძალიან მყარი გარანტიები აშშ-სთან ყველა მიმართულებით პარტნიორობის გაღრმავების კუთხით, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა პრეზიდენტ დონალდ ტრამპთან და ვიცე-პრეზიდენტ მაიკ პენსთან შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა.

როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, აშშ, როგორც საქართველოს მთავარი სტრატეგიული პარტნიორი, გააგრძელებს საქართველოს მნიშვნელოვან მხარდაჭერას და ეს ურთიერთობები მნიშვნელოვნად გაღრმავდება მომავალში.

„ჩვენ გვქონდა საკმაოდ ხანგრძლივი შეხვედრა ვიცე-პრეზიდენტ მაიკ პენსთან. გარკვეულწილად შევაჯამეთ გასული 25 წლის ურთიერთობები. მოგეხსენებათ, ჩვენ ვზეიმობთ ურთიერთობების 25 წლის იუბილეს და ვისაუბრეთ მომავალ 25 წელზე. ჩვენ მივიღეთ ძალიან მყარი გარანტიები აშშ-სთან ყველა მიმართულებით პარტნიორობის გაღრმავების კუთხით. ეს იყო ძალიან პოზიტიური შეხვედრა. ჩვენ გვქონდა საუბარი ურთიერთობებზე ყველა მიმართულებით. ეს არის თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულება, კულტურული ურთიერთობები, დემოკრატიული ინსტიტუციების განვითარებაში მომავალი მხარდაჭერა, ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება. ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა იყო, რომელიც გაგრძელდა შემდგომ პრეზიდენტთან შეხვედრით. პრეზიდენტის მხრიდან ასევე მივიღეთ ძალიან მკაფიო გზავნილები საქართველოს მიმართ მხარდაჭერის თაობაზე და ჩვენ ვფიქრობთ, რომ მთლიანობაში ეს არის უმნიშვნელოვანესი საქართველოს მომავალი განვითარებისთვის, სტაბილურობისთვის ჩვენს ქვეყანაში. აშშ, როგორც საქართველოს მთავარი სტრატეგიული პარტნიორი, გააგრძელებს საქართველოს მნიშვნელოვან მხარდაჭერას და ეს ურთიერთობები მნიშვნელოვნად გაღრმავდება მომავალში“, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გარეშე, ტერიტორიული მოწყობის საკითხებს არ შევეხებით!

საკონსტიტუციო ცვლილებების საყოველთაო-სახალხო განხილვა ბათუმის უნივერსიტეტში გუშინ 12:00 საათზე დაიწყო. **განხილვას პირველად ესწრება საქართველოს პრეზიდენტი.**

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ არ გადაესინჯა ტერიტორიული მოწყობის საკითხები. როგორც ირაკლი

კობახიძემ განაცხადა კონსტიტუციის გადასინჯვის დროს არ დარჩენილა არც ერთი პუნქტი და მუხლი, რომელსაც ცვლილება არ შეეხო. მისივე თქმით, კომისიამ მიიღო პრინციპული გადაწყვეტილება, რომ საქართველოს კონსტიტუციაში არსებითად არ გადაესინჯა ტერიტორიული მოწყობის საკითხები.

— ეს იყო პრინციპული გადაწყვეტილება, ჩვენ კონსტიტუციაში 1995 წელს ჩაიდო გზავნილი, რომლის თანახმადაც, ხელისუფლება არ შეეხება ტერიტორიული მოწყობის საკითხებს, ვიდრე არ დადგება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი, არ გახდება შესაძლებელი კონსულტაციების წარმოება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობასთან. გზავნილი არის ასეთი, რომ ჩვენ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გარეშე არ შევეხებით ტერიტორიული მოწყობის საკითხებს. ეს გზავნილი ვფიქრობთ, რომ უნდა დარჩენილიყო მოქმედ კონსტიტუციაში და ეს გადაწყვეტილება მივიღეთ კიდეც, — განაცხადა კობახიძემ.

კონსტიტუციის ახალი პროექტის საჯარო განხილვა 5 მაისს დაიწყო და მისი წარდგენა სულ 11 ქალაქშია დაგეგმილი. საყოველთაო განხილვების პროცესი 15 მაისს თბილისში დასრულდება.

ეროვნული უშიშროების საბჭო თავდაცვის საბჭოთი ჩანაცვლდება

„საუბარია ეროვნული უშიშროების საბჭოს ჩანაცვლებაზე თავდაცვის საბჭოთი“, — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-საჯარო განხილვაზე. მან უშიშროების საბჭოს მომავალზე ისაუბრა და მისი გაუქმების აუცილებლობის არგუმენტები დაასახელა.

„რაც შეეხება უფლებამოსილებებს — გვაქვს ორი არსებითი ცვლილება. პირველი — საქმე ეხება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენას და აქ გვაქვს 2010 წლის ვენეციის კომისიის რეკომენდაცია, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ უმჯობესია ამ კომპეტენციის იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის გადაცემა, რათა ინსტიტუციურად უკეთესად მოგვიწესრიგდეს ეს საკითხი და მეორე, საქმე ეხება ეროვნული უშიშროების საბჭოს. საუბარია ეროვნული უშიშროების საბჭოს ჩანაცვლებაზე თავდაცვის საბჭოთი, რომელიც მოქმედებს საომარი მდგომარეობის პირობებში. ესეც იყო ვენეციის კომისიის რეკომენდაცია 2010 წელს. ისინი პირდაპირ ამბობდნენ, რომ ამ სისტემასთან საერთო არაფერი აქვს არსებული სახით უშიშროების ეროვნულ საბჭოს, რადგან ეროვნული უშიშროების საბჭო რჩევას აძლევს პრეზიდენტს იმ საკითხებზე, რომელიც არის რეალურად მთავრობის უფლებამოსილების ქვეშ. ეს არის მარტივი იურიდიული ნონსენსი. ისინი ჯერ კიდევ 2010 წელს გვირჩევდნენ ამ ნონსენსის გამოსწორებას. რაც არ გაკეთდა მაშინ, კეთდება დღეს“, — ამბობს პარლამენტის თავმჯდომარე.

ვსაუბრობთ, ვმსჯელობთ და მივდივართ ერთიან ჭეშმარიტებამდე

დღეს საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ბათუმში გამართულ კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვას დაესწრო. მისი თქმით, ერთობლივი მსჯელობით შეიძლება ერთიან ჭეშმარიტებამდე მისვლა.

„მიხარია და მივესალმები გადავსებულ დარბაზს, ეს არის ის, რაც ყოველთვის მინდოდა, რომ მთელი საზოგადოება ვსაუბრობთ და ვმსჯელობთ ერთად. ვსაუბრობთ, ვმსჯელობთ და მივდივართ შეთანხმებამდე ერთიან ჭეშმარიტებამდე, რასაც ჰქვია ქვეყნის უზენაესი კანონი, რომელიც ჩვენ მომავალ თანაცხორებას განაპირობებს. ეს გადავსებული დარბაზი არის წინაპირობა იმისა, რომ ჩვენ რეალურად ამ პროცესის გაღრმავებით მივალთ მნიშვნელოვანი და საინტერესო დოკუმენტის შექმნამდე. მიხარია, როდესაც ვხედავ ამდენ დაინტერესებულ ადამიანს. მინდა, მადლობა გადავუხადო ირაკლი კობახიძეს. მინდა, მოვუსმინო კომისიის წევრების შეხედულებებს. მაინტერესებს, რა თემებზე იქნება დისკუსია. არის საკითხები, რომელზეც მინდა, ჩემი შეხედულება გაგიზიაროთ“, — განაცხადა პრეზიდენტმა.

გიორგი მარგველაშვილი აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს შეხვდა

საქართველოს **პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ბათუმში აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს ზურაბ პატარაძეს შეხვდა.**

შეხვედრაზე საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებული თემები განიხილეს.

საუბარი შეეხო რეგიონში მიმდინარე პროცესებს, ინფრასტრუქტურულ და ეკონომიკურ პროექტებს, ასევე ტურისტული სეზონისათვის მზადების საკითხებს. შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს პრე-

ზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი გიორგი აბაშიშვილი, უშიშროების საბჭოს მდივანი დავით რაქვიაშვილი და პრეზიდენტის მრჩევლები.

დიმიტრი ქუმსიშვილი: დიდი მადლობა ევროპის კავშირსა და ევროპის საინვესტიციო ბანკს!

დიდი **მადლობა მინდა, გადავუხადო ევროპის კავშირსა და ევროპის საინვესტიციო ბანკს აქტივობებისთვის, რომლებსაც ისინი საქართველოში ახორციელებენ,** — განაცხადა საქართველოს პირველმა ვიცე-პრემიერმა, ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა ტექნოლოგიურ პარკში გამართულ პრესკონფერენციაზე, რომელზეც ევროპის საინვესტიციო ბანკმა საქართველოს ბიზნესის წარმომადგენლებს ახალი პროგრამები გააცნო.

საქართველოში კერძო სექტორის განვითარების საკვანძო ამოცანის შესასრულებლად, ევროპის საინვესტიციო ბანკის ჯგუფი (რომელიც აერთიანებს ევროპის საინვესტიციო ბანკსა და ევროპის საინვესტიციო ფონდს) ახორციელებს ევროკომისიასთან ერთად შემუშავებულ ორ ახალ პროგრამას. ეს ორი პროგრამა მომზადდა ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმების კონტექსტში: ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების აღმოსავლეთ ინიციატივა, ისევე როგორც ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის პროგრამის, „ჰორიზონტი 2020“-ის ინსტრუმენტის: „ინოვფინი — ევროკავშირის დაფინანსება ნოვატორებისთვის“ ფარ-

გლებში. პირველი ვიცე-პრემიერის, ფინანსთა მინისტრ დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით, აღნიშნული პროგრამები მსგავსია საქართველოს მთავრობის მიერ რამდენიმე წლის წინ დაწყებული პროგრამებისა „აწარმოე საქართველოში“ და „სტარტაპ საქართველო“.

ეს ის პროდუქტებია, რომლის გაგრძელებასაც ჩვენ ვხედავთ, როგორც ღრმა და ყოვლისმომცემელი ვაჭრობის არეალის ინსტრუმენტი — ქართულ ლარში გაცემული სესხები, რომელსაც მოყვება საგრანტო კომპონენტი. ეს არის იმპორტის ჩანაცვლება და საექსპორტო პროდუქციის განვითარება. რაც შეეხება ინოვფინს, ესაა ფონდი, რომელიც მხარს უჭერს ინოვაციური და ტექნოლოგიური პროექტების დაფინანსებას. სწორედ მათთვის დამატებით უზრუნველყოფას წარმოადგენს ევროპის საინვესტიციო ბანკი უკვე კომერციულ ბანკებში, რათა კომპანიებმა შეძლონ სესხის აღება, ქვეყანაში ეკონომიკის განვითარება და ახალი სამუშაო ადგილები შექმნა.

პუტინმა გამარჯვების დღე სოხუმსა და ცხინვალსაც მიულოცა

პუტინი **დსთ-სა და მეზობელი ქვეყნების ლიდერებს გამარჯვების დღეს ულოცავს. საგანგებო განცხადება კრემლის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა.**

იმ ქვეყნების ჩამონათვალში, რომლებსაც კრემლის ლიდერმა ფაშიზმზე გამარჯვების 72-ე წელი მიულოცა, საქართველოც მოხვდა. ჩამონათვალში სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის რეგიონები ცალკე სახელმწიფოებად არის მოხსენიებული.

აკადემიკოს ილია ვეკუას მიმართვა ახალგაზრდებს...



ახლახან აღინიშნა დიდი ქართველი მეცნიერის და საზოგადო მოღვაწის ილია ვეკუას დაბადების 110 წლისთავი.

დღეს ჩვენი გაზეთი ექსკლუზიურ მიმართვას სთავაზობს ქართველ ახალგაზრდობას.

„ცხოვრების ის მანძილი, რომელიც მე გავიარე, საკმაოდ დიდია. ეს ნებას მაძლევს, ახალგაზრდობას გავუზიარო დაკვირვების საფუძველზე საკუთარი გამოტანილი ზოგიერთი მოსაზრება.

ცხადია, ვგულისხმობ მეცნიერებას დაწაფებულ ახალგაზრდობას.

გვეკითხებიან ხოლმე, რა არის საჭირო მეცნიერული მუშაობის წარმატების უზრუნველსაყოფადო. ერთი შეხედვით, საპუხი სავსებით ნათელია: ესაა სათანადო ბუნებრივი მონაცემები, მოწოდება და მუშაობის უნარი. თუ კაცს თანდაყოლილი ნიჭი აქვს და შრომისმოყვარეა, ყოველთვის მიაღწევს წარმატებას ხელსაყრელი პირობების გამოყენებით. მაგრამ ნიჭიერება და ღრმა აზროვნების უნარი სახეზე არავის აწერია, არც მათი გამოვლინებაა ადვილი, რადგან ძალიან ღრმადაა ჩამარხული ადამიანში. დიდი დრო და დაკვირვება სჭირდება მის გამოაშკარავებას. ჩვენ ხშირად ვუშვებთ შეცდომას, როცა ახალგაზრდის ნიჭიერების შეფასებისას ვემყარებით მის ისეთ თვისებებს, რაც აშკარად ჩანს და იოლად ვლინდება. ზოგიერთი, როგორც სწავლაში, ისე ცხოვრებაში ბრწყინვალე მაჩვენებლებს ავლენს, რაც ჩვენ გვხიბლავს და მისთვის ყველა კარი იოლად იხსნება; მაგრამ დროთა განმავლობაში, სამწუხაროდ, ხშირად ის, რაც ბრწყინავდა — ოქრო არ გამოდგება ხოლმე. ამიტომ ნიჭიერი და უნარიანი ახალგაზრდების დაწინაურებისას დიდი სიფრთხილე და დაკვირვება გვმართებს. მთავარია სამი რამ: ნიჭი, მუშაობის უნარი და შერჩეული დარგისადმი სიყვარული. ჩვენი სასიქადულო მეცნიერი, აკადემიკოსი ნიკო მუსხელისვილი თვლიდა, რომ ამ სამი ნიშნიდან მესამე — საგნისადმი სიყვარული — გადამწყვეტია მეცნიერებაში წარმატების მისაღწევად. მეც, რაც მეტი დრო გადის, მით მეტად ვრწმუნდები, რომ ეს ნამდვილად ასეა.

ადამიანს ცხოვრების გზაზე თითქმის ყოველ წამს მრავალი ცდუნება ელოდება. კერძოდ: ესაა სურვილი, ერთი შეხედვით, სავსებით ბუნებრივი, ცხოვრების პირობების კეთილმიწყობისა — ჰქონდეს ხეირიანი ბინა, კარგი ხელფასი, მანქანა, თანამდებობა და მრავალი სხვა.

მეცნიერებაში წარმატებებს მიაღწევს მხოლოდ ის, ვისაც უსაზღვროდ უყვარს თავისი დარგი, ვინც ყველაფერზე მაღლა დააყენებს სამეცნიერო-კვლევით მუშაობას და შემოქმედების სფეროში წარმატების მოპოვებას დაუქვემდებარებს ყველა სხვა ინტერესს. ვინც ასე მოიქცევა და წარმატებებსაც მიაღწევს, მისთვის ცხოვრების სხვა მხარეები თანდათანობით მოგვარდება და გაცილებით უკეთ, ვიდრე შესაძლებელია მას ახალგაზრდობის დროს ესახებოდა, ოღონდ ამისათვის საჭიროა დრო და მოთმინების დიდი უნარის გამომუშავება, კერძოდ, სულის მღრღნელი შურიანობის დაძლევა...

ბოდიში უნდა მოვიხადო, რომ ასეთი, არსებითად ტრივიალური აზრის გამოთქმას ამდენი ხანი მოვანდომე, მაგრამ ამაზე ყურადღება იმიტომ გავამახვილე, რომ მაშინ, როცა ამ წერილის წერა დავიწყე, თვალწინ წარმომიდგა ზოგი ბრწყინვალე ნიჭის მქონე პიროვნების ბედი, რომელთაც მეცნიერებას ხელი მოჰკიდეს და წარმატებითაც შეეძლოთ, გაეგრძელებინათ მუშაობა, მაგრამ პარალელურად, დიდ დროსა და ენერგიას უთმობდნენ ცხოვრების კეთილმოწყობას, როგორც იტყვიან, არაფერს იკლებდნენ, ხოლო მეცნიერებისათვის ზრუნვა მეორეხარისხოვან საქმედ აქციეს. ცხადია, მათ მეცნიერებაში სასურველ შედეგებს ვერ მიაღწიეს და ვშიშობ, რომ ამის ნამდვილი მიზეზი, შესაძლებელია, ბოლომდე არც ჰქონდათ გაცნობიერებული. არ არის გამორიცხული, რომ ზოგი მათგანი ხელის მოცარვის გარეშე, ე.წ. ობიექტური მიზეზებით ხსნიდა.

მეცნიერული შემოქმედების პროცესი ჭეშმარიტ მეცნიერთათვის დრამატული განცდებითაა აღსავსე. შეიძლება მისი ბევრი წამოწყება უშედეგო გამოდგეს, რასაც, ცხადია, მწვავედ განიცდის, მაგრამ ამან მუდმივ საგონებელში არ უნდა ჩააგდოს იგი. ნამდვილ მეცნიერს ყოველთვის აქვს პრობლემისადმი მიდგომის სათადარიგო გზები, ან ახალ, მონათესავე პრობლემაზე გადასვლის საშუალება. მეცნიერული შემოქმედებისათვის ოპტიმიზმი წარმატების აუცილებელი (მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველთვის არ არის საკმარისი) იარაღია; ამიტომ მეცნიერი ოპტიმისტი უნდა იყოს, არც ერთ ვითარებაში წარმატების რწმენა არ უნდა დაკარგოს.

მინდა ვუსურვო ჩვენს შესანიშნავ ახალგარდა თაობას, ვისაც მეცნიერული შემოქმედებისათვის სათანადო მონაცემები აქვს, დღენიადაგ თავის საყვარელ საგანზე იფიქროს და დაუღალავად იმუშაოს, იქონიოს დიდი მონდომება და შრომისუნარიანობა. მხოლოდ ამ პირობებშია წარმატება მოსალოდნელი, ამის გარეშე კი მარცხი გარდაუვალია.

კიდევ ერთხელ, დიდი მადლობა.

საუკეთესო სურვილებით,

თქვენი ილია ვეკუა“.

(მადლობა პროფესორ მარინა ვეკუას ამ პუბლიკაციისთვის)

ინფლაცია ძალიან მაღალია, სიტუაციაზე კონტროლი დაკარგული!

ინფლაციის მოთოკვა ვერ ხერხდება. „ეროვნული ბანკი“ თითქოს რაღაცას ცდილობს, მაგრამ ვითარებაზე კონტროლი დაკარგული აქვს. როგორც ჩანს, მთელი წლის განმავლობაში ფასები მაღალ ნიშნულზე შენარჩუნდება.

2017 წლის აპრილში საქართველოში ინფლაციის დონემ, წინა თვესთან შედარებით, 0,1 პროცენტი, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 6,1 პროცენტი შეადგინა. ამ პერიოდში ფასების 7,6-პროცენტიანი მატება დაფიქსირდა სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფზე, რაც 2,31 პროცენტული პუნქტით აისახა წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე. ფასები გაიზარდა ბოსტნეულსა და ბაღჩეულზე (18,2%), შაქარზე, ჯემსა და სხვა ტკბილეულზე (11,5%). გაძვირდა რძე, ყველი და კვერცხი (10,8%), ხორცი და ხორცპროდუქტები (8,0%), ზეთი და ცხიმი (6,7%). ფასები მომატებულია თამბაქოს ნაწარმზე (30,0%) და ალკოჰოლურ სასმელებზე (1,8%);

მაღალი ინფლაცია უკვე ყველა მიმართულებით აშკარაა, ამას გრძნობენ საქართველოს ეროვნულ ბანკში, სადაც მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა რეფინანსირების განაკვეთი 25 საბაზისო პუნქტით 7%-მდე უკვე გაზარდა. ეროვნული ბანკის პრეზიდენტი კობა გვენეტაძე ამბობს, რომ ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელს 2018 წელს დაუბრუნდება. მიუხედავად ამისა, მონეტარული პოლიტიკის კიდევ უფრო გამკაცრების საჭიროება წელს აღარ არის.

„ინფლაციის წლიური მაჩვენებელი ერთჯერადი ფაქტორების გამო, 2017 წლის მიზნობრივ მაჩვენებელზე მაღლა დარჩება, თუმცა მისი ამოწურვის შემდეგ, 2018 წელს, იგი შემცირდება და 3%-იან მიზნობრივ მაჩვენებელთან ახლოს იქნება. ეროვნული ბანკის მიზანი არის ფასების სტაბილურობა, რაც, თავის მხრივ, ნიშნავს საშუალოვადიან პერიოდში ინფლაციის სამიზნე მაჩვენებელთან ახლოს შენარჩუნებას. მოკლევადიან პერიოდში იგი შეიძლება, გადაიხაროს სამიზნე მაჩვენებლიდან, როგორც ზრდის, ასევე კლების მიმართულებით, მაგრამ საშუალოვადიან პერიოდში ის დაუბრუნდება მიზნობრივ ნიშნულს.

ფასების სტაბილურობა მნიშვნელოვანია ეკონომიკური ზრდის, ინვესტიციებისა და დასაქმებისათვის. თუ გვექნება საგარეო შოკი, რაც ნებისმიერ დროს არის მოსალოდნელი, შესაძლებელია, გაცვლითი კურსი შეიცვალოს, მაგრამ არ დაირღვეს ფასების სტაბილურობა. ეს კი ნიშნავს, რომ ქართველი მეწარმეები შეინარჩუნებენ კონკურენტუნარიანობას. დასაქმებასა და ეკონომიკაშიც პრობლემები არ გვექნება“, — განაცხადა გვენეტაძემ.



ეკონომისტები ამბობენ, რომ ქვეყანაში ინფლაციის მატება გაგრძელდება, თუკი მთავრობა გადასახადების შემცირების გადაწყვეტილებას არ მიიღებს. ზვიად ხორგუაშვილის შეფასებით, იმის ნაცვლად, რომ მთავრობას დაეწია გადასახადები და ამით შვება მიეცა ხალხისთვისაც და ბიზნესისთვისაც, რომელიც ქმნის სამუშაო ადგილებს, გადასახადები გაზარდა ბენზინსა და დიზელზე, რასაც საქართველოს მოქალაქეთა აბსოლუტური უმრავლესობა საკუთარ ჯიბეზე გრძნობს.

ფინანსისტი ვახტანგ ჭარაია ეროვნულ ბანკს უფრო მეტი აქტიურობისკენ მოუწოდებს, რადგან მთელი წლის განმავლობაში ნამდვილად მოსალოდნელია მაღალი ინფლაცია.

„ვხედავთ, რომ იგი უკვე 6%-ის ფარგლებშია. მართალია, ეკონომიკური ზრდა მაღალია და ისიც 5%-ს აღემატება, მაგრამ მოსახლეობა დღეს ინფლაციას უფრო გრძნობს. სწორედ ამიტომ ეროვნულმა ბანკმა თავისი შესაძლებლობების ფარგლებში უნდა იმოქმედოს, მით უმეტეს, რომ მათ ინფლაციის კონტროლი პირდაპირ ევალებათ. 2017 წლის მიზნობრივი მაჩვენებელი 4%-ია, რასაც დღევანდელი მაჩვენებელი უკვე აღემატება“, — განაცხადა ვახტანგ ჭარაიამ.

ბექა დანელია

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას

ძვირფასო რედაქცია! ნება მიბოძეთ, საქვეყნოდ გამოვხატო თქვენდამი პატივისცემა და მოგახსენოთ დიდი მადლობა იმასთან დაკავშირებით, რომ წლების განმავლობაში არაერთი მწვავე მასალა გამომიქვეყნეთ საპარლამენტო არჩევნების სრულყოფის პრობლემების თაობაზე. როგორც იქნა, ყინულმა ლღვობა დაიწყო და გამოჩნდნენ სახელმწიფოებრივად მოაზროვნე მაღალი დონის სპეციალისტები, მათ შორის პარლამენტარები, რომლებიც მხარს უჭერენ საპარლამენტო არჩევნების მაჟორიტარული სისტემის შენარჩუნებას.

ჯერჯერობით, ეს ზღვაში წვეთია!

უმნიშვნელოვანესი იქნება, რომ ალარ დაყოვნდეს ე.წ. პოლიტიკური პარტიების საქმიანობისადმი საზოგადოების უდიდესი ნაწილის დამოკიდებულების გამოაშკარავებისა და წინასაარჩევნო კამპანიის ობიექტურად ჩატარების რადიკალურად განსხვავებული წინანადებების რეალიზაციის პროცესი.

პატივისცემით,

ანზორ ბაბუხადია

შთამომავლობამ უნდა იცოდეს

...ბევრ რამ მაქვს მოსაგონარი. თუნდაც იმ მღელვარე დღის პერიპეტიები... როგორ დაიწყო... როგორ გაგრძელდა... რით დამთავრდა...

„დედა ენის“ 100 წლისთავისთვის მზადების ბოლო დღეებია. „ჩრდილოეთში“ რომ ნაკლებად გაღიზიანდნენ, ამ იუბლეს უწყებრივი მასშტაბები მიეცა და განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი სამმართველოს მეთაურობით კეთდება... გამოიცა ძველი „დედა ენა“, „ბუნების კარი“, გოგებაშვილის სხვა ნაღვაწი... მოწესრიგდა მუზეუმი, პოეტური კრებული. რეზო ლაღიძემ წინა დღით ღამე გაათენა და ფანტასტიკური სიმღერა შექმნა...

ბოლოსწინა საღამოა, თემურ ჟღენტის „შავი მუშების“ ბრიგადასთან ერთად გავდივართ ყველა დეტალს კიდევ ერთხელ. ჩვენთან ერთად არის ასაკოვანი ბატონი უშანგი ობოლაძე, მინისტრის პირველი მოადგილე, ლეგენდა კაცი, ცოცხალი ენციკლოპედია... ვიღებ ერთ საგაზეთო ამონაჭერს და ვუკითხავ დამსწრეებს: სადღაც, რუსეთის რომელიღაც ქალაქში, ძაღლისთვის ძეგლი დაუდგამთ — პატრონის ერთგულებისთვის. ხმამაღლა ვამბობ: „აგერ, ძაღლს დაუდგეს ძეგლი და... ჩვენ ვინ რა უნდა გვითხრას, თუკი...“ აქ აზრი გავწყვიტე ეშმაკურად ვეკითხები ბატონ უშანგის: „სადმე თუ არსებობს ძეგლი მშობლიური ენის პატივსაცემად?“

ობოლაძე, რომელიც ჩვენ გუნდს სიყვარულით „შავი პოლკოვნიკების ხუნტას“ ეძახდა, ადგა და... მეტი აღარაფერი თქვათ, ახლავე ცეკას სახელზე ბარათს დავწერო... ორ საათში ბარათი მზად არის: დასაბუთება 5 გვერდზე! გრძელია, უნდა შევამოკლოთ-მეთქი... არაო, ეს ისეთი საკითხია, სერიოზული დასაბუთება ჭირდებაო...

ჩვენს უფროს მეგობართან კამათს აზრი არა აქვს. ამიტომ მადლობით ვშორდებით და... ვურეკავ ელგუჯა ამაშუკელს, ჩვენს დიდ მოქანდაკეს: ვეკითხები, როგორ არის საქმე? პასუხი ისეთია, რომ ტელეფონიც კი გაწითლდა ჩემი მადლობებით. მაშინ უკვე ყველა მიხვდა, რომ იდეა ახლა კი არ დაბადებულა, არამედ იმდენად დაღვინებულია, რომ უკვე ესკიზებიც კი დამუშავებულია... „გავარდით“ მე და თემურ ჟღენტი ბატონ ელგუჯასთან. ლია სტურუა, ელგუჯას მეუღლე, ჩვენი ცნობილი პოეტი, აღტაცებით მეუბნება, რომ ელგუჯამაც ღამე გაათენა და რამდენიმე ესკიზი მზად არის...

დადგა საიუბილეო დღე. დილით შევარდნაძესთან ვიზიტი. ცეკას მდივანი ვიქტორია სირაძე ეუბნება, რომ მასშტაბები გრანდიოზულია, წყვეტაა მოსაწვევებზე, ვაჩვენებ საიუბილეოდ გამოშვებულ წიგნებს, სხვა „პროდუქციას“, ვუყვები, რა მოხდება ფილარმონიის სცენაზე... აშკარად კმაყოფილია... და მისთვის სიურპრიზი: ვაწვდი უშანგი ობოლაძის მიერ მომზადებულ 5-გვერდიან წერილს და მეორე ვარიანტს: ერთ გვერდზე დაყვანილ „დასაბუთებას“...მისთვის ეს იდეა მოულოდნელია. დაფიქრდა...ვსარგებლობ პაუზით და ვაწვდი ესკიზებს. აშკარად მოეწონა.ვამატებ: ელგუჯა ამაშუკელს მიაჩნია, რომ სანაპიროზე რომ ბაღია იქ იქნება ძეგლისთვის შესაფერისი ადგილიო... თანაც, ადგილი სიმბოლურია, ქართულ თემასთან პირდაპირ კავშირში გახლავთ-თქო...

პირველი შეკითხვა: ვინ იცის ამის შესახებო...

პასუხი: მინისტრმა ოთარ ქინქლაძემ, ობოლაძემ, ჟღენტმა, ქალბატონმა ვიქტორიამ და თქვენ...

მოულოდნელი ფრაზა: ამ იდეის შესახებ მეტი არავინ არ უნდა იცოდეს... და დაამატა: ხელს შეგვიშლიანო!

ახლაც მახსოვს ინტონაცია: ხელს შეგვიშლიანო!!!

ვეუბნები, რომ „საიდუმლოს“ უკეთ შევინახავთ, თუ კონკურსს არ გამოვაცხადებთ და... შემაწყვეტინა: არავითარი ოფიციალური გაფორმება დაკვეთისა არ გვინდა. უხმაუროდ და ჩუმად გააკეთეთ ეს საქმეო... შრომატევადი იქნება ეს წამოწყება, ხარჯებიც დაჭირდება, ადგილს კეთილმოწყობა... მარტო თქვენ ამას ვერ გაწვდებითო... აიღო ყურმილი და დაუკავშირდა თენგიზ მენთეშაშვილს. გაუზიარა თავის შთაბეჭდილებები, მათ შორის, „საიდუმლოების“ თაობაზე და შესთავაზა: მოდი, შენ ჩაუდექი სათავეში ამ იდეის განხორციელებას და ქალაქმა ყველა საკითხი მოაგვაროსო. შევარდნაძემ „გურული ეშმაკობა“ მოიშველია: განათლების სამინისტრო დაბეჯითებით ითხოვს შენს ჩართვას ამ საქმეშიო...

მივდივარ თენგიზთან, მივუტანე ესკიზები. მასაც ძალიან მოეწონა. და ძალიან გულწრფელად თქვა: ამაზე დიდ და კარგ საქმეს ჩვენ ვერასოდეს გავაკეთებთო...

იდეის განხორციელებას დრო დაჭირდა. საქმე წინ მიდიოდა... 14 აპრილის მოვლენების დროსაც კი არ გახმაურებულა არაფერი.

ყველაფერი გააკეთა თენგიზ მენთეშაშვილმა თავის გუნდთან ერთად... გურამ გაბუნია, ნელი გურგენიძე, ზაურ მესხიშვილი, ჯემალ კუხალაშვილი, ნიკო ლეკიშვილი... ყველამ დადო თითო აგური ელგუჯა ამაშუკელის ამ შედევრის გაცოცხლებაზე. და დადგა დღე, როცა ბევრისთვის სრულიად მოულოდნელად თბილისი დაამშვენა „დედა ენის“ ძეგლმა.

ცნობილი ჟურნალისტის მოგონებათა ყულაბიდან

რეზო ლაღიძის ბოლო სიმღერა

ეს მოგონება რეზო ლაღიძეს და მის ერთ-ერთ შედევრს — „ჰიმნი დედა-ენას“ ეხება.

საუბარია მშობელი ენის სადიდებელ ერთადერთ (!) ჰიმნზე.

„ჰიმნი დედაენას!“

„ამ დღეებში გახსენება ეკუთვნის დიდ რეზოს, ქართული სიმღერის ბუმბერაზს, ჭეშმარიტად უსაყვარლეს შემოქმედს, საუკუნის კომპოზიტორად რომ აღიარეს ამ ათიოდე წლის წინ. სავსებით დამსახურებულად და სამართლიანად!

ბედნიერი ვიყავი და ვარ, რომ მასთან მაკავშირებდა სიახლოვე. მეგობრობა — არა! უფრო სხვა, მამაშვილური ურთიერთობა, რომლითაც „ვსარგებლობდი“ კიდეც... ზოგჯერ შეხუმრებით (არა ფამილიარობით), გვიან დარეკვის უფლებით, სადმე (რა თქმა უნდა, მისთვის სასიამოვნო წრეში) დაპატიჟებით...

მის ზარს, თხოვნას, დავალებას, რეკომენდაციას კანონის ძალა ქონდა ჩემთვის, რამეთუ კარგად მქონდა გააზრებული, ამ ნაბიჯის უკან ან მავანის ნიჭიერება იდგა (რომელსაც დიდოსტატის თვალი და სმენა უყოყმანოდ ამჩნევდა) ან ისეთი ტკივილი, გაჭირვება-მოთხოვნილება, რომელიც აიძულებდა კეთილშობილებით აღსავსე და ერთობ გულჩვილ ადამიანს — საქართველოს მაშინდელი პარლამენტის დეპუტატს, „რკინის ქალამნები“ ჩაეცვა და ნებისმიერი , მათ შორის უმაღლესი რანგის ჩინოვნიკი მოურიდებლად შეეწუხებინა.

თავადაც უყვარდა და სიამოვნებდა ხელის გამართვა, თხოვნის შესრულება, მოფერება, გამხნევება... მეც, აკი ვთქვი ზემოთ, „ვსარგებლობდი“ მისი ამ თვისებით და შეკლული მყავდა ხელში: ამა თუ იმ კონკურსის ჟიურის წევრობა, რომელიმე ნიჭიერი ჭაბუკის მოსმენა და მისთვის რჩევის მიცემა, ახალგაზრდულ შეკრებებზე სტუმრობა და ასე შემდეგ: მაშინ ხომ სისტემატურად ტარდებოდა საზეიმო თუ ღირსშესანიშნავი თარიღებისა და იუბილეებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები...

უარს არასოდეს გეტყოდა, ოღონდ... აი, ეს ოღონდ არის მთავარი. თუ სანადიროდ ან სათევზაოდ აპირებდა წასვლას და შენი თხოვნის შესრულებას შეეძლო ამ „წმინდა“ საქმისთვის ხელისშეშლა, განწირული იყავი შენც და შენი თხოვნაც. გამორიცხული იყო მისი დათანხმება. უკვე მისი „მტერი“ იყავი და შეიძლებოდა, „გამოგეტყუა“ შენი პიროვნების ისეთი შეფასება, რომელთაგანაც ყველაზე რბილი და უწყინარი იყო სიტყვა „იდიოტი“... ნამეტანი შინაური უნდა ყოფილიყავი, ნამეტანი ახლობელი და საყვარელი, რომ ეს „წოდება“ დაგემსახურებინა. ერთი სიტყვით, სანადირო-სათევზაოდ გამზადებულ რეზოს ვერავითარი ძალა ვერ შეაცვლევინებდა გადაწყვეტილებას, რამეთუ ის სულიერად მდიდრდებოდა ბუნებასთან უშუალო შეხებით, ის იყო მისი შემოქმედების წყარო, ბუნების ჰანგებით საზრდოობდა მისი შთაგონება, მისი მუსიკა, მისი სიმღერები...



და მაინც, იყო ერთი შემთხვევა, როცა ბუზღუნით, ჩემი პიროვნების „შემკობით“ გულმოოხებულმა უარი თქვა სათევზაოდ წასვლაზე და როიალს მიუჯდა...

1977 წლის შემოდგომაზე აღინიშნებოდა სულმნათი იაკობ გოგებაშვილის უკვდავი „დედა ენის“ იუბილე. მასშტაბი დიდი. ემოციებით, პატრიოტული სულისკვეთებით აღსავსე დღეები და... ფინალი: ფილარმონიის დარბაზში დიდი საიუბილეო საღამო.

წინა დღით გენერალურ რეპეტიციას ვატარებთ. რა თქმა უნდა, ვღეღლავ, პასუხისმგებლობა ჩემზე და ჩემს გუნდზეა. რეჟისორი ნოდარ (ბიჭიკო) ჩხეიძე ჩვეულებრივ სტიქიაშია, თან მამშვიდებს, თან სიურპრიზებით „ხუნძლავს“ პროგრამას — რიტმი ჩინებულია, სილაღე, განათება მშვენიერი, ლექსები იცოცხლე, დეკლამატორები — ერთმანეთზე უკეთესი, გულში ჩამწვდომი სიმღერები მთლიანად საქართველოდან, მშობლიური ბუნების ულამაზესი კადრები... თითქოს ყველაფერი წესრიგშია თითქოს წარმატება გარდუვალი იქნება. მაგრამ...

აკვიატებულად მაწუხებს იმის ფიქრი, რომ რაღაც მარილი მაინც აკლია ამ „ფინალურ აკორდს“...

„გამოვუტყდი“ ჩემს მოადგილეს, ჩემს მეორე „მეს“ — თემურ ჟღენტს, მერე „შევბედე“ ბიჭიკო (ნოდარ) ჩხეიძეს და... სამივემ თითქმის ერთად, დანანებით „ვაღიარეთ“, რომ ის „მარილი“, რომელიც აკლია აქაურობას და რომელზედაც „ვწუწუნებ“ არის... სიმღერა „დედა ენაზე“ კონკრეტულად და ზოგადად — მშობლიურ ქართულ ენაზე...

ჩხეიძემ მოკლედ მოჭრა: მორჩით ფანტაზიორობას, არ არსებობს ასეთი სიმღერა და მე საიდან გავაჩინო... ეს ერთი და მეორე — (დამარცვლით) — უკვე გვიან არისო...

მართალს ამბობსო, ნოდარ-ბატონი, დაემოწმა თემურ ჟღენტი და მუდარით მიჩურჩულა, ნუ არევ ამ დაწყობილ საღამოსო...

აღარაფერი მითქვამს. უკვე საკმაოდ გვიანი გახლდათ და სამსახურში დავბრუნდი.

... შუაღამეს ერთი საათი აკლია და ვურეკავ ჩემს უფროს მეგობარს რეზო ლაღიძეს. ტრადიციული ბოდიში, გვიანი ზარისა გამო... მამშვიდებს, არაფერია, უკვე გავდიოდი სახლიდან, სათევზაოდ მივდივარო... კი მაგრამ, ვეკითხები, ხვალ „დედა ენის“ იუბილეზე არ აპირებ მოსვლას? მაგ დროისთვის ფორმაში ვიქნები და, რა თქმა უნდა, გესტუმრებითო...

ვატყობ, ფუჭია ჩემი მცდელობა. სათევზაოდ გამზადებულ ბატონ რეზოს ახლა რომ შევბედო დარეკვის მიზანი, არ ამცდება მისეული „ნაზი“ შემკობა... მიხვდა, რომ რაღაც მაწუხებს და: დროზე მითხარი, რა გაწუხებსო... წვრილ-წვრილად მოვუყევი როგორი საღამო იქნება, ვინ მონაწილეობს, ვინ ესწრება და ასე შემდეგ... მივდივარ კულმინაციისკენ... და ბოლოს. სიმღერა აკლია ამ ყველაფერს და, ხომ არ დაწერ-მეთქი...

პაუზა... რომელი საათიაო, მკითხა... შუაღამე იქნება სულ მალე-მეთქი... იუბილე როდის არისო... ხვალ-მეთქი, ვუპასუხე. მერე, შენ სრულ ჭკუაზე თუ ხარო. მკითხა... სრულ ჭკუაზე რომ ვიყო, არ დაგირეკავდი, თანაც სათევზაოდ გამზადებულს-მეთქი... ისევ პაუზა! და... მართლა გამოუსწორებელი „ვიღაცა“(!!!) ხარო, მაგრამ... რა ვქნა, ჩემთვის ძალიან საყვარელიო. თანაც, ისეთ რამეს მთხოვო... ქართულ ვაზს ვუმღერე... ტყესაც ვუმღერე და, ისე, „დედა ენით“ უნდა დამეწყოო და... კაი, კაი, ვიფიქრებო და გამოუმშვიდობებლად დამიკიდა ყურმილი.

... ღამის ოთხი საათია. ჩემს სამუშაო კაბინეტში ვზივარ თემურ ჟღენტთან და თანამშრომლებთან ერთად. „დარჩენილ კუდებს“ ვამთავრებთ. და უცებ ზარი... ვეცი ტელეფონს. რეზოს ხმა: გამოვიდა, შე ოხერო, გამოვიდაო...

სიხარულისგან ენა ჩამივარდა. გენიოსი ხარ-მეთქი, კომპლიმენტს არ ვიშურებ მისთვის. ის კი, უკვე საქმიანად: 11 საათზე ფილარმონიაში მომიყვან მუსიკალური სკოლა-ინტერნატის გუნდს, „რუსთავს“ თავად მოვიყვან, ანზორ ერქომაიშვილი უკვე გავაღვიძეო...

ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში სიჩუმეა. ნახევარი საათი დასჭირდა ანსამბლის მომზადებას, „რუსთავის“ ბიჭებს კი უფრო ნაკლები და...

„აი, ია, აი თითი...“ — გაისმა ბავშვების ტკბილი, გამაჟრჟოლებელი ხმა...

„ოი, დედა ენავ!!!“... დასჭექა „რუსთავმა“...

რეზოს გავხედე და... თვალებზე ცრემლი. ნოდარ ჩხეიძეს — თვალებზე ცრემლი... თემურ ჟღენტსაც წყლიანი თვალები... მივედი და რეზოს გადავეხვიე. მიჩურჩულა: არადა, რა თევზაობა ჩამიშალეო... მარა, ღირდა, ბიჭო, ამ სიმღერისთვის მისი გაცდენაო...

ალბათ ბევრია დღეს ცოცხალი, ვისაც ახსოვს, თუ რა ფურორი მოახდინა ამ სიმღერამ „დედა ენის“ საიუბილეო საღამოზე. ვიყავი ბედნიერი და ამაყი, არა მარტო იმიტომ, რომ მართლა მაგარი, იმ დროისთვის გამოკვეთილად ეროვნული საღამოს ჩატარებისა და გამარჯვებისა გამო, არამედ იმისთვისაც, რომ საქართველომ საჩუქრად მიიღო გენიოსის მიერ შექმნილი ჰიმნი, რომელიც ადიდებს მშობლიურ ენას.

... მეორე დღეს საჩუქრად მივიღე რეზოს ხელით შექმნილი „დედა ენის“ ნოტები, სათანადო, გულისამაჩუყებელი წარწერით.



რამდენადაც ვიცი, „ჰიმნი დედა ენას“ იყო რევაზ ლაღიძის მიერ შექმნილი ბოლო სიმღერა.

ნუგზარ ფოფხაძე

მადლობა ღმერთს, რომ არსებობ!

თემურ ლანჩავა – 70 წლის გახდი? – მე შენს განვლილ გზას ვენაცვალე, გზას, რომელიც მარადის ვიდოდა ჭეშმარიტებისაკენ. კარგად მოგეხსენება, ჭეშმარიტება ღმერთია!

ჩემო თემურ, შენ ჩემი საყვარელი ქალაქის საპატიო მოქალაქე ხარ, შესანიშნავი პოეტი და პროზაიკოსი. შენი შემოქმედება დააფასა მთელმა ქვეყანამ და ამიტომაც ხარ ილიას, აკაკის, ვაჟას და გალაკტიონის პრემიების ლაურეატი.

მივესალმები ჩემს საყვარელ იმერეთს. შენ, იმერეთში გაზრდილი, საქართველოს ღირსეული შვილი ხარ!

მარად შენი
ჯანსულ ჩარკვიანი

სიბრძნის ასაკი

ჩემო თემურ!

ვიხსენებ 2007 წლის 25 აპრილს, შენს შემოქმედებით, საიუბილეო საღამოს ქუთაისში.

თაყვანისმცემლებით გაჭედილ ლადო მესხიშვილის სახელმწიფო აკადემიურ თეატრს და 60 წლის იუბილართან შეხვედრის მშვენიერ წუთებს.

ვიგონებ მუხრან მაჭავარიანის შთამბეჭდავ სიტყვას: „...გულწრფელად მინდა, ვთქვა, არ მეგონა ამჟამინდელ საქართველოში ესოდენ აფორიაქებული კაცი თუ დადიოდა ქუთაისში... ღმერთმა შენნაირი ჭირისუფალი და მეციხოვნე არ მოაკლოს საქართველოს... აფერუმ თემურ!..“

მას შემდეგ ათი წელი გავიდა.

ეს წლები სავსე იყო შემოქმედებითი ძიებით, მიღწევებით, ფიქრით და ოცნებებით.

მძიმეა ნიჭიერი კაცის ბედი.მთელი ცხოვრება შენი საგზლით უნდა იარო და ქართველი მწერლის მძიმე ჯვარი ატარო.

თვალს ვადევნებ რა შენს ცხოვრებას და შემოქმედებას, მიხარია, რომ გამორჩეულად თვალშისაცემი ხარ შენი აზროვნებით და ერისკაცობით. ბევრ საქმეს აკეთებ ჩვენი ქვეყნის ისტორიას რომ მნიშვნელოვნად დააჩნდება.

განსაკუთრებულად შენი ნოველები მიყვარს,სავსე იმერული იუმორით, სიბრძნითა და უბრალოებით.

ჩემო თემურ, იცი შენ როგორ უსაზღვროდ მიყვარს ქუთაისი, ქალაქი, სადაც სიყმაწვილე გამიტარებია, ქალაქი, რომელიც სულ მენატრება. შენ ამ ქალაქის მუდმივი ჭირისუფალი ხარ.

მინდა, დიდხანს იცოცხლო, იღვაწო და ახალ-ახალი შემოქმედებითი მიღწევებით გაგვახარო.

70-მა წელმა არ შეგაშინოს, სიბრძნისა და მეტი დაფიქრების ასაკია. იყავი ბედნიერი, წარმატებული,ღმერთმა ხელი მოგიმართოს.

როინ მეტრეველი,
აკადემიკოსი.

ყველა ჟანრში შედევრების შემქმნელი

ჩემო თეიმურაზ!

კარგად არ ვიცი ჩვენს ენაში ამ ბოლო დროს გაცოცხლებულ-დამკვიდრებული სიტყვის – „უკუგების“ მნიშვნელობა. უკუგება, ალბათ, „სამაგიეროს“ ნიშნავს.

ჩვენს საქმეში, თემურ, უკუგების იმედი არავის უნდა ჰქონდეს.

ჩვენ, მწერლები, წიგნისადმი გულგრილ, პირქვედამხობილ, ჩაძინებულ საზოგადოებას კი არა, თავისუფალ, დამოუკიდებელ, გონიერ, გაღვიძებულ საქართველოს ვემსახურებით.

ბატონო თეიმურაზ!

გილოცავთ 70 წლის იუბილეს. 28 წელია ქუთაისის სამწერლო ორგანიზაციას ხელმძღვანელობთ. ამ პერიოდის განმავლობაში მწერალთა სახლი ახორციელებს სხვადასხვა მნიშვნელოვან ლიტერატურულ პროექტს. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით და თქვენი რედაქტორობით, 2013 წლის ნოემბერში გამოიცა ლიტერატურული ჟურნალი „მერმისი“.

ქუთაისს ყოველთვის ეჭირა ხელი ქვეყნის კულტურისა და ლიტერატურის პულსზე. სასიხარულოა, რომ ქალაქს თქვენი სახით თანამედროვე ავტორი ჰყავს.

მთელ თქვენს შემოქმედებას ლაიტმოტივად თქვენი ქვეყნისა და ქალაქის სიყვარული გასდევს.

თქვენ მიღებული გაქვთ ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძის, აკაკი წერეთლის, დავით კლდიაშვილის, ნიკო ნიკოლაძის, გიორგი ლეონიძის, აბუსერიძე ტბელის, ოთარ მამფორიასა და მუხრან მაჭავარიანის პრემიები. გასულ წელს პატივი მქონდა, კულტურის სამინისტროს უმაღლესი ჯილდო „ხელოვნების ქურუმი“ მომენიჭებინა.

თუმცა, როგორც ნებისმიერი ავტორისთვის მთავარი ჯილდო მკითხველის და იმ ადამიანების აღიარებაა, რომლებიც მესხიშვილის თეატრის დარბაზში შეიკრიბებიან.

კიდევ ერთხელ გილოცავთ იუბილეს თქვენ და თქვენი შემოქმედების თაყვანისმცემლებს. ხანგრძლივ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას გისურვებთ.

მიხეილ გიორგაძე,
საქართველოს კულტურისა
და ძეგლთა დაცვის მინისტრი

სიბრძნის ასაკი

ჩემო თემურ!

ვიხსენებ 2007 წლის 25 აპრილს, შენს შემოქმედებით, საიუბილეო საღამოს ქუთაისში.

თაყვანისმცემლებით გაჭედილ ლადო მესხიშვილის სახელმწიფო აკადემიურ თეატრს და 60 წლის იუბილართან შეხვედრის მშვენიერ წუთებს.

ვიგონებ მუხრან მაჭავარიანის შთამბეჭდავ სიტყვას: „...გულწრფელად მინდა, ვთქვა, არ მეგონა ამჟამინდელ საქართველოში ესოდენ აფორიაქებული კაცი თუ დადიოდა ქუთაისში... ღმერთმა შენნაირი ჭირისუფალი და მეციხოვნე არ მოაკლოს საქართველოს... აფერუმ თემურ!..“

მას შემდეგ ათი წელი გავიდა.

ეს წლები სავსე იყო შემოქმედებითი ძიებით, მიღწევებით, ფიქრით და ოცნებებით.

მძიმეა ნიჭიერი კაცის ბედი.მთელი ცხოვრება შენი საგზლით უნდა იარო და ქართველი მწერლის მძიმე ჯვარი ატარო.

თვალს ვადევნებ რა შენს ცხოვრებას და შემოქმედებას, მიხარია, რომ გამორჩეულად თვალშისაცემი ხარ შენი აზროვნებით და ერისკაცობით. ბევრ საქმეს აკეთებ ჩვენი ქვეყნის ისტორიას რომ მნიშვნელოვნად დააჩნდება.

განსაკუთრებულად შენი ნოველები მიყვარს,სავსე იმერული იუმორით, სიბრძნითა და უბრალოებით.

ჩემო თემურ, იცი შენ როგორ უსაზღვროდ მიყვარს ქუთაისი, ქალაქი, სადაც სიყმაწვილე გამიტარებია, ქალაქი, რომელიც სულ მენატრება. შენ ამ ქალაქის მუდმივი ჭირისუფალი ხარ.

მინდა, დიდხანს იცოცხლო, იღვაწო და ახალ-ახალი შემოქმედებითი მიღწევებით გაგვახარო.

70-მა წელმა არ შეგაშინოს, სიბრძნისა და მეტი დაფიქრების ასაკია. იყავი ბედნიერი, წარმატებული,ღმერთმა ხელი მოგიმართოს.

როინ მეტრეველი,
აკადემიკოსი.

ყველა ჟანრში შედევრების შემქმნელი

ჩემო თეიმურაზ!

კარგად არ ვიცი ჩვენს ენაში ამ ბოლო დროს გაცოცხლებულ-დამკვიდრებული სიტყვის – „უკუგების“ მნიშვნელობა. უკუგება, ალბათ, „სამაგიეროს“ ნიშნავს.

ჩვენს საქმეში, თემურ, უკუგების იმედი არავის უნდა ჰქონდეს.

ჩვენ, მწერლები, წიგნისადმი გულგრილ, პირქვედამხობილ, ჩაძინებულ საზოგადოებას კი არა, თავისუფალ, დამოუკიდებელ, გონიერ, გაღვიძებულ საქართველოს ვემსახურებით.

გაფაციცებული თვალით და ეჭვიანი მოლოდინით ნუ გაიხედავ მკითხველისაკენ.

შენ რომ ყოველდღიურად გხვდება იმ მოქალაქეთა ასიდან მხოლოდ სამი პროცენტი თუ კითხულობს და იმ სამი პროცენტიდან ერთმა პროცენტმა თუ იცის, ვინ არის თეიმურაზ ლანჩავა.

წავიდა, მოკვდა ის მკითხველი პაოლო იაშვილს რომ ქუჩაში ჰკილავდა: „პავლე, რო დეიყლანწები, სადაა შენი ყანწები“.

...და მაინც, „ცისფერი ყანწელების“ ორი ნომერი გამოსცეს ქართველმა სიმბოლისტებმა, მეტი ვერა. და მაინც, სიცოცხლე ისე ჩაამთავრეს, ტიციანს ორი წიგნი ჰქონდა გამოცემული, ვალერიანს – სამი, სანდრო ცირეკიძეს – ერთი, პაოლო იაშვილს – არცერთი.

შენ მწერალთა თავკაცის უმძიმესი ტვირთი აიკიდე, ჩემო თემურ და ლამის 30 წლის განმავლობაში ვაჟკაცურად, მუხლჩაუხრელად ატარებ.

ჩემი პატარა ოთახის სამი თარო ვერ იტევს შენს წიგნებს, შენი რედაქტორობით გამოცემულ ჟურნალებს და გაზეთებს.

შინაურ მღვდელს რომ შენდობა არა აქვს, ეს კარგად იციან იმ ლიტერატურისმცოდნეებმა ოციანი წლების საქართველოს ლიტერატურულ ცხოვრებაზე რომ დისერტაციებს წერენ.

ახლა სხვა დროაო, თავჩაქინდვრით მეტყვიან ხოლმე, „კეისარს კეისრისას“ ბიბლიურ სიბრძნეს რომ შევახსენებ.

დიახ, მართლაც რომ სხვა დროა.

თუ სადმე სამართალია, თეიმურაზ ლანჩავაზე წიგნები უნდა დაიწეროს.

თეიმურაზ ლანჩავას არ სჭირდება დითირამბები, თეიმურაზ ლანჩავას წაკითხვა უნდა.

და თუ წაიკითხავ, ჩემო მეგობარო მკითხველო, თეიმურაზ ლანჩავას სახით შენ აღმოაჩენ ბწრყინვალე პოეტს, ბრწყინვალე პროზაიკოსს, ბრწყინვალე დრამატურგს და ბრწყინვალე ესეისტს.

დაუგდეთ ყური: **„ვარდისფერ ყვავილებს ჭირისუფლები შვენიან, მათია გლოვა უცრემლო, სიკვდილი მარტო შენია. თითქოს მარტივად გადაწყდა, რაც რომ უფალმა ისურვა, ჯერ შენი სული გზაშია, ზეცამდე არც კი მისულა“.**

არ არის ეს მაღალი პოეზია? არ არის სულისშემძვრელი ლირიული დრამა წუთისოფლის ამაოებისა?

იშვიათია ქართულ მწერლობაში მეორე მწერალი, რომ ასე ოსტატურად ხელეწიფებოდეს ყველა ჟანრში ჭეშმარიტი შედევრების შექმნა.

თეიმურაზ ლანჩავას მიერ დღემდე შექმნილს არა ოდენ პირველხარისხოვანი ლიტერატურა, მოქალაქეობრივი გმირობაც ჰქვია.

მივმართავ რუსთაველის პრემიების კომიტეტს; დროა, თეიმურაზ ლანჩავას სახელი ამშვენებდეს რუსთაველის პრემიის ლაურეატთა ბრწყინვალე კოჰორტას.

სამოცდაათს ვულოცავ სახელოვან მწერალს და სწორუპოვარ წინამძღოლს ქართველ მწერალთა ერთი ღონიერი რაზმისა – იმერეთის მწერალთა ორგანიზაცია რომ ჰქვია.

რევაზ მიშველაძე

სამოცდაათის გამხდარხარ!..

სამოცდამეათე ლოდი დაგიდვია შენი სამშობლოს ჩამორღვეული ციხესიმაგრის გასამაგრებლად.

სამოცდამეათე კელაპტარი, წმინდა კელაპტარი დაგინთია საკურთხეველთან ივერთა მიწის გადასარჩენად.

შენი პროზისა თუ პოეზიის თითოეული სტრიქონი გულის გულში გაგიტარებია და ჭეშმარიტი შემოქმედის ტვიფარით აღგიბეჭდავს.

დიდი სითბო და სიყვარული გამოსჭვივის შენგან ხელდებული შემოქმედებიდან. თამამად ვიტყვი: კაცი შეიძლება საერთოდ არ იცნობდეს იმერეთს, ჩვენს სათაყვანებელ ქუთაისს და იქაურობა შენი ლექსითა და მოთხრობით შეიყვაროს.

რატომ?

იმიტომ, რომ მხატვრის თვალი გაქვს, უტყუარად რომ შეუძლია მისთვის საესავი მხარის ისე წარმოჩენა, რომ გულში სითბო ჩაგეღვრება კაცს, სიცოცხლის წყურვილი გაგიძლიერდება, სიყვარულის ნიჭი გაგიათკეცდება.

რამდენი რამის გაკეთება მოასწარი ამ ხნის განმავლობაში, როგორც საზოგადო მოღვაწემ, რამდენ საშვილიშვილო საქმეს ჩაბერე სული...

ქუთაისი მწერლობისა და სულიერების ერთი მძლავრი კერა რომ არის, ამაში შენი დიდი წვლილიცაა.

მეტი რა გითხრა სამშობლოს გადარჩენისათვის აბჯარასხმულ მეციხოვნეს. ეგ შემართება, სულის ძლიერება, ქედუხრელობა არ მოგშლოდეს, ჩემო ძვირფასო ძმაო და მეგობარო.

მაყვალა გონაშვილი

სიყვარულით მოგესალმები!

ძმაო თემურ, თანამედროვე ქართულ მწერლობაში ცისკრის ვარსკვლავივით ანათებ. გული სავსე გაქვს ალაალი გრძნობით და ჰგავხარ მხოლოდ საკუთარ თავს. როგორც თვითონ ამბობ, სიტყვაა შენი სული და ხორცი, სიტყვაში ცოცხლობ და სიტყვაში კვდები; სიტყვებით ეფერები ყველას და ყველაფერს და რა გასაკვირია, ჩვენც რომ სიტყვებით გცნობთ.

ბევრჯერ მისეირნია შენ მიერ ხატოვანი სიტყვებით აგებულ სასახლეებში, მეტაფორებით შემკულ ბაღებში და მჯერა ეს ყველაფერი უკვდავია, მარადიულია.

განსაკუთრებული და გამორჩეული ადგილი გაქვს ცხოვრებაში. შენს თავს იქ ხედავ და იქ დგახარ, სადაც სამშობლოს სჭირდები. სამშობლოს ჭირ-ვარამით ცხოვრობ. ბევრჯერ ჩაგიგდია თავი საფრთხეში სამშობლოსათვის. თუ არ ვცდები, სახალხო ლაშქარსაც ჩაუდექი ერთხელ ქუთაისს საფრთხე რომ დაემუქრა.

გული სავსე გაქვს ტრფობით. ყოველთვის კარგს იმახსოვრებ ადამიანებისგან, ცუდისთვის და სიგლახისთვის დრო არ დაგიკარგავს.

დღეგრძელობა მინდა, გისურვო, უპირველესად. რამეთუ, საქართველოს წყალივით სჭირდები კიდევ. ჭკუის საკითხავი კაცი ხარ და არასდროს მინანია, შენ მიერ გაკვალული გზით რომ გამივლია. ნომერ პირველი ორგანიზატორი იყავი ყოველთვის და ხელმძღვანელობას ზეფრიადზე ახერხებდი. უსაქმურებს საქმის კეთება იოლი ჰგონიათ. გაკრიტიკებენ, გებრძვიან. როგორც კი საქმესთან მიუშვებ – ჩააფლავებენ და იმასაც შენ დაგაბრალებენ. გამოგიცდია ეს შენ, ჩემო თემურ; გამოგიცდია, მაგრამ გული არ გაგიტეხავს.

კაცი, რომელიც ასის ფარგლებში ითვლის და ასიანია ყველაფერში, მისთვის 70 დიდი ვერაფერი თარიღია. იყავი მხნედ და ასის იქით იცქირე!

მიყვარხარ, ძმაო თემურ!

დავით თედორაძე,
საქართველოს მწერალთა კავშირის
აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე

მთავარი რედაქტორისგან:

გაზეთის ამ გვერდში წარმოდგენილ ერის ღირსეულ შვილთა შეფასებებს დამატება ნამდვილად არ სჭირდება, იუბილარის მეგობართა თხოვნით მხოლოდ იმას შეგახსენებთ, რომ 10 მაისს ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართება გამოჩენილი ქართველი მწერლის, იმერეთის მხარეში მოღვაწე ყველა კალმოსნის აღიარებული თავკაცის, მრავალი ლიტერატურული, პუბლიცისტური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატის, ქუთაისის საპატიო მოქალაქის თეიმურაზ ლანჩავას დაბადებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ გულწრფელად ულოცავს ბატონ თეიმურაზ ლანჩავას ამ საპატიო თარიღს და საუკუნემდე დარჩენილი სიბრძნის წლების კვალდაკვალ, კვლავაც დიდ შემოქმედებით წარმატებებს უსურვებს.

მხნედ, პოეზიისა და მზის ქალაქის, „ლიხს იქეთური დედის“ ერთგულო ჭირისუფალო!

სპარტაკ ქობულია

1945 **წლის** 8 მაისს გერმანელებმა კიდევ ერთხელ მოახდინეს კაპიტულაცია – ამჯერად მთელი ანტიჰიტლერული კოალიციის წინაშე. კაპიტულაციას ხელი მოაწერეს 8-დან 9 მაისამდე ღამით...

გამარჯვება სტალინის ცხოვრებაში ურთულესი ეტაპის დასასრული იყო. იწყებოდა ახალი – მეურნეობის აღდგენა და მსოფლიო პოლიტიკა სრულიად ახალ პირობებში. სსრ კავშირი ზესახელმწიფო ხდებოდა. მოდით, გავიხსენოთ: რომელი ჟესტით დაიწყო სტალინმა თავისი ქვეყნის ეს ახალი ეტაპი? 1945 წლის 24 მაისს მან კრემლში წითელი არმიის ჯარების სარდლების – ახალი სტალინური სკოლის მხედართმთავრების – მიღება მოაწყო. **მიღებაზე სტალინი გამოვიდა სიტყვით საბჭოთა ადამიანების დამსახურების შესახებ სამამულო ომში – და უწინარეს ყოვლისა, რუსი ხალხისა, როგორც ყველაზე გამორჩეული ერისა ყველა ერთა შორის, რომლებიც შედიოდნენ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში.**

1945 წლის 24 ივნისს გაიმართა გამარჯვების პარადი. ისტორიის ცილისმწამებლები წერენ, რომ აღლუმს თავად სტალინი არ ღებულობდა იმიტომ, რომ, თითქოსდა, ვერ განახორციელა თავისი გეგმა – ვერ დაიპყრო მთელი მსოფლიო. ესე იგი არაფერი ჰქონდა სადღესასწაულოო. სინამდვილეში სტალინი (თანამედროვე „დამოუკიდებელი“ ისტორიკოსებისა და ჟურნალისტებისაგან განსხვავებით) გონიერი ადამიანი იყო. და ესმოდა, რომ ცხენზე ნავარდი მის ასაკში და მისი მცირეოდენი გამოცდილებით სასაცილოა და უადგილო. და მან გასცა ბრძანება, რომ აღლუმი მიეღო ჟუკოვს, რომელიც პროფესიონალი კავალერისტი იყო. სტალინი იდგა მავზოლეუმზე, მის ფეხებთან კი ყრიდნენ გერმანული დივიზიების დროშებს. მას უყვარდა და გაეგებოდა ეფექტური საყურებლები და ჟესტები. და ეს ჟესტები იყო უბრალოდ გულის ძგერა და არა გათვლილი ეფექტზე.

აი, გამარჯვების პარადთან დაკავშირებული ერთი ისტორია. ომის დროს ობიექტების ნაღმებისაგან გასუფთავებაში მესანგრეებს ეხმარებოდნენ გაწვრთ-

ნილი ძაღლები. ერთ-ერთმა მათგანმა სახელად ჯულბარსმა ომის ბოლო წელს 7468 ნაღმი და 150-ზე მეტი ჭურვი აღმოაჩინა. გამარჯვების აღლუმამდე ცოტა ხნით ადრე ჯულბარსი დაიჭრა და აღარ შეეძლო სიარული. მაშინ სტალინმა გასცა ბრძანება, გაეყვანათ ძაღლი წითელ მოედანზე ჯარისკაცის შინელზე...

1945 წლის 6 ივნისს სტალინი დააჯილდოვეს „გამარჯვების“ მეორე ორდენით და მიანიჭეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, 1845 წლის 27 ივნისს კი სსრ კავშირის ყველა შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდალს იოსებ ბესარიონის ძე სტალინს მიანიჭეს უმაღლესი სამხედრო წოდება – საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსი.

ეს ჯილდო მას არ უნდოდა და მას ეწინააღმდეგებოდა – ამის შესახებ ლაპარაკობდა მოლოტოვი. ამბობდა, რომ წოდებით გენერალისიმუსი მას უბიძგებდა უგუნურ კომპანიაში: ეს წოდება მაშინ მხოლოდ ფრანკოსა და ჩან კარიბის ჰქონდათ. მაგრამ მარშლებმა და გარემოცვამ დაარწმუნეს სტალინი, დათანხმებულიყო. დამახასიათებელია, რომ არანაირი ახალი მუნდირი სტალინს არ უტარებია – ძველებურად მარშლისას ატარებდა. რაც შეეხება წოდებას (ვარსკვლავს) საბჭოთა კავშირის გმირი – ამ ჯილდოს ანიჭებდნენ პირადი მამაცობისათვის. „მე ასეთი მამაცობა არ გამომიჩენია“, – თქვა სტალინმა და ეს ჯილდო არ აუღია. მას ამ ვარსკვლავით მხოლოდ ხატავდნენ. სტალინი ატარებდა მხოლოდ სოციალისტური შრომის გმირის ვარსკვლავს. რატომ არწმუნებდა სტალინის გარემოცვა ასეთი დაბეჯითებით გამხდარიყო გენერალისიმუსი? ერთი ჩემი ნაცნობი მუშაობდა კომპანიაში, რომელსაც სათავეში მეტად პატიოსანი და თავმდაბალი კაცი ედგა. ფირმა ყვაოდა – ფინანსური შესაძლებლობები იყო მეტად დიდი. მაგრამ ის მაინც „კაპიკებით“ ცხოვრობდა. ეს იყო 1990-იან წლებში, როდესაც ასეთი რანგის ადამიანები გადასხდნენ „ბე-ემ-ვეებზე“ და „მერსედესებზე“. ბიზნსმენის გარემოცვასაც სურდა, გადამჯდარიყო უცხოური მარკის მანქანებზე. მაგრამ სანამ შეფი დადიოდა „კაპიკებით“, ეს არაეთიკური იყო. რა უნდა ექნათ? დაერწმუნებინათ იგი, უარი ეთქვა მოძველებულ მანქანაზე. დაარწმუნეს. და თავადაც უმალვე შეიძინეს ახალი მანქანები...

სტალინი ახალი წოდებით 1945 წლის 16 ივლისს ჩავიდა ბერლინში, სადაც 17 ივლისიდან 2 აგვისტომდე სამი ქვეყნის – სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის – კონფერენცია მიმდინარეობდა. ისტორიაში იგი პოტსდამის – ბერლინის გარეუბნის – სახელწოდებით შევიდა, სადაც ანტიჰიტლერული კოალიციის ქვეყნების მეთაურების სხდომები მიმდინარეობდა. წინა შეთანხმებები იცვლებოდა, მსოფლიო პოლიტიკაში კი გაჩნდა ახალი ფაქტორი – ატომური იარაღი. სამშაბათს, 1945 წლის 17 ივლისს, პოტსდამის კონფერენციის გახსნის დღეს ამერიკის შეერთებული შტატების ახალმა პრეზიდენტმა ჰარი ტრუმენმა, რომელიც ახლა ამერიკის შეერთებულ შტატებს წარმოადგენდა გარდაცვილლი ტრუმენის ნაცვლად, მიიღო მოკლე დეპეშა, რომელიც სამ სიტყვას შეიცავდა: **„ახალშობილები მშვიდობიანად დაიბადნენ“**. ეს ნიშნავდა: ნიუმეხიკოს შტატში 16 ივლისის დილის 5 საათსა და 30 წუთზე ალამოგორდოს საიდუმლო პოლიგონზე აფეთქდა კაცობრიობის ისტორიაში პირველი ატომური ბომბი. დასავლეთმა მიიღო შესაძლებლობა, მოეხდინა სტალინის შანტაჟირება, რაც გაკეთდა კიდეც კონფერენციის დასასრულს. ტრუმენი თავის თარჯიმანთან ერთად ღრმაგონებრივი გამომეტყველებით მივიდა სტალინთან და უთხრა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს აქვს „განსაკუთრებული დამანგრეველი ძალის“ უსაშინლესი იარაღი. იმის შესახებ კი, რომ ეს ატომური ბომბია, მას არ უთქვამს. ამ მომენტში ჩარჩილი ყურადღებით უმზერდა სტალინს სახეზე, იცოდა, თუ რას ეუბნებოდა მას ამერიკის შეერთებული შტატების მეთაური, და ელოდებოდა რეაქციას. სტალინს არაფრით არ გამოუხატავს თავისი მღელვარება და არც ერთი შეკითხვა არ მიუცია ტრუმენისთვის. აქედან ჩერჩილმა გააკეთა დასკვნა, რომ სტალინს **„წარმოდგენაც არ ჰქონია საერთაშორისო საქმეებში იმ რევოლუციის შესახებ, რაც უკვე მოხდა“**. მაგრამ ეს იყო სტალინი. მან ყველაფერი შესანიშნავად გაიგო, სხდომიდან დაბრუნების შემდეგ ჟუკოვის თანდასწრებით უამბო მოლოტოვს ტრუმენთან გამართული შეხვედრის შესახებ, და შენიშნა: **„უნდა მოველაპარაკოთ კურჩატოვს ჩვენი მუშაობის დაჩქარების შესახებ“**.

